№ 201 სექტემბერი 21, შაბათი 1891 სექტემბერი 21, შაბათი № 201

გაზეთი ღირს

თვეში	მან.	კ.	თვეში	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიეგზავნოთ: თვითონ რედაქციას, ბუღაში, ავჭალის ტეხაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, ილ. ტ. ტუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სამოკალაქაქაურო ბანკის სახლებში, სასახლის ტეხაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 საპოლიტიკო და საალიტერატურო გაზეთი 1877—1891

„ი ვ ე რ ი ა“

გამოდის 1891 წელსაც ისევე ერთგვარად, როგორც აქამდე.

ვისაც სურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, ილ. ტ. ტუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთა უნდა დაბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნას გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო ამ სულის-მამშვენარეა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთა სოფლის შესახებ ფულს ეპარდაბარ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ახალი ამბავი

*** ტფილისის სათავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ თ. ი. ჭავჭავაძემ აუწყა პეტერბურგიდგან ამ გამგეობას, ფინანსთა მინისტრმა აწინდელ ფულის ბაზრის ცუდის მდგომარეობისა გამო არ გვირჩია ჯერ ხანობით კონვერსიის მოხდენა 6% გირაინობის ფურცლებისა 5%-დაო.

*** ჩვენ მივიღეთ მღვდლის დ. ხახუტაშვილის მიერ შეკრებული 18 მანათი განსვენებულ ისტორიკოსის დ. ზ. ბაქრაძის სახელობაზედ დაარსებულ ფონდის მისამატებლად. ამ ფონდისა აქამდე იყო. 1895 მ. 29 კ. ამიანად შესდგა. 1913 მ. 29 კ.

*** ჩვენ მივიღეთ კ. გვარამაძისაგან შეკრებილი ორი მანეთი ნ. ბარათაშვილის ფონდის სასარგებლოდ. ნ. ბარათაშვილის ფონდისა აქამდე გვქონდა 317 მ. 36 კ. ამიანად შესდგა. 319 მ. 36 კ.

*** სოფ. კოთელიან. (ახალ-ქალაქის მაზრა). ამ ორი-სამის წლის წინად ახალ-ქალაქის მაზრიდგან, განსაკუთრებით ს. კოთელიიდგან, „ივერიაში“ არა ერთი და ორი ამბავი იწერებიბეჭდებოდა აქაურის ავ-კარგიანობისა: ქურდობა-ავაზაკობისა, ერთმანეთის მტრობისა და სოფლის ხალხის უერთმანერთობისა, მაგრამ ხალხის ზნეობისა და ყოფა-ქცევის დაცემის შესახებ-კი სიტყვაც არა თქმულა. ახლა გწერთ რამდენსამე ამისთანა ამბავსაც.

1885 წ., ზამთარში, ვგონებ ქრისტეშობისთვეში, სოფ. კოთელიანში ერთს აქაურს გლეხს დაკეტილ სახლიდგან ღამე მოსტაცეს დანიშნული ქალი... ამ საქმეს არავინ შესაფერი ყურადღება არ მიაქცია; კოთელიელ—ჯავახებს სიცილადაც არ ეყოთ ის ამბავი, ქალის გამტაცებლებს არამც თუ არა ჰკიცხავდნენ, არამედ აქებდნენ კიდეც, კი ვაკაცები ყოფილან, რომ შუა-ღამისას დაკეტილს სახლში შევიდნენ და დანიშნული ქალი გიტაცესო...

იმავე ზამთარს გასტეხეს სახლი ერთის აქაურის კაცისა: ჩავიდნენ ბუხრიდგან, დაამტვრიეს ხუთი-ექვსი კიდობანი-სკივრი საჭრელითი და, მათში რაც რამ ელაგა ფული, ოქრო-ვერცხლის ნივთები და სხ., სულ 600 მ. ღირებული, გიტანეს. ეს საქმე ჩაილულის წყალს მიეცა...

განვლო ორმა წელმა. ბევრი წვრილმანი ავაკაობა მოხდა ამ ხნის განმავლობაში წათამამებულის ვაჟბატონებისაგან, მაგრამ რაკი დიდრონს საქმეებს ყური არავინ ათხოვა, წვრილმანებისთვის ვინ აიტკივებდა მაგრე რიგად თავს?

წარსულს ზამთარს აქაური ახალგაზდები, რიცხვით შვიდი-რვა კაცი, მიეუცავდნენ ერთს აქაურსავე საწყალს ღარიბს გლეხს შუა ღამისას, რომ უკვე გათხოვილ-დანიშნული ქალი გაეტაცნათ. მისვლისე ამ ვაჟბატონებმა დაუწყეს სახლის კარებს რკინის კეტებით, წერა-ქვებითა და ცულებით ნგრევა, მაგრამ შიგნიდგან მარჯვედ მოეკლნენ და ქალი ვეღარ გაიტაცეს. ამ საქმემაც ჩაიარა და გადარჩნენ ბოროტ-მომქმედნი.

აგერ ეხლა, წარსულ აგვისტოს უკანასკნელს რიცხვებში ერთმა კოთელიელმავე მოიტაცა სოფლის საზაფხულო იალაღიდგან (მთიდგან). „იაილიდგან“ ერთის აქაურისავე სიმხის ობოლი უპატრონო ქალი, სულ 12—13 წლისა, რომელიც საწყალს თავის მოხუცებულს პაპას თან გაეყოლებინა საქონლის მოსაწველ-მოსადღვებად მთაში „იაილაში“.

*** გაზ. „Н. Об“. შეუტყვია, ტფილისის სამკურნალო ამ წლის დამლეგისათვის 30 ადგილს კიდევ მოუმატებს ქკუთა არა მყოფელთათვის და მხოლოდ მამაკაცებს მიიღებს ამ ადგილებზეო. ეს 30 ადგილის მომატება ვერ დაკმაყოფილებს საჭიროებას, რადგან ჯერ მარტო მისაღები მამა-კაცი 71 ჩაწერილი სიაში და მეორეც, ქალებისთვის ხომ სულ არ ემატება ადგილები. ამის გამო უფროსი მკურნალი ხნენებულის სამკურნალოსი ბ-ნი გოლბეკი თხოულობს თურმე, სადაც ჯერ არს, რომ ქალებისთვისაც მოუმატონ ადგილებიო.

*** 19 სექტემბერს პოლიციის მეექვსე ნაწილში ვიღაც ყასეში წაეჭიტება სამსონ მატინოვს და დანით გულში დასჭრა. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს და დამნაშავეს დაეძებენ.

*** ამავე დღეს, ღამის 11 საათზე, მეეტლემ ფილიმონ გამყრელიძემ ლონდონის სასტუმროსთან ეტლი დაჯაბა ალექსანდრე რამანოვს, წაეკითა და მარჯვენა ფეხი მოსტეხა. მეეტლე შეიპყრეს და დაშავებული სამკურნალოში გაგზავნეს.

ელეტრონი

ხალხური ლექსები

(შეკრებილი სოფ. უდეში (ახალციხის მაზ.) იოანე ბარიკაშვილის მიერ).

წყლის პირსა ორი ხოხობი
უდედოთ დავიზარდეთო,
ავი ჯალების პატრონი
უცხო თემს დავიკარგეთო.

—

ჯავახეთო და ,ახეთო,
გაეერნებული ნნახეთო;
შედგმული შეჭამადები
მარილათ ველარ ნახეთო.

—

სერიდამ გადმომდგარიყო
თვალ-ეუეუნ თეთრი ქალიო;
ხელსა მიქნევს, აქ ამოდი,
შინ არა ჩემი ქმარიო.
ცოხის სანგრევლად წასულა,
თავს დასწოლია ქვანიო.
ქვანიო, ბიჭო, რა ქვანი,
შვიდ-კეცი, შვიდი მხარიო.

—

ჯავახეთო, კოდიანო,
მეპანტეტი მოდიანო,
მეეიმუნე წინ მოუძღვის,
თამაშობით მორბიანო.
მეეიმუნეს ბური შივა,
ლაში დაბლა დაუშვია,
ერთი ლუკმა პურისათვის
სახლი ოხრად გაუშვია.

—

მთას ყინულიანს შეეჩსკქერი,
მოველი ჩამოდნობასო.
გოგოვ, ვინ გაძლევს იმედსო,
ვინ გზაზს ჩემოდნობასო.

—

სახნის-საკვეთი, ჭამბარა
მამასახლისმა მამბარა;
იმას გაუწყდეს ცოლ-შვილი,
უხნავ-უთესად დაგვყარა.

—

მამასახლისის ხარსაო
წავაგდებინამ რქასაო,
წვავალ, ქალაქში გაეყიდი,
ვიყიდი ზანზალაესაო,
დავჭკიდამ, დავაყდარუნამ,
მიეყვები იმის ხმასაო.

—

კმბეჩები დამეკარგნენ,
დაუღლული ხარებიო,
შინ ვერ შეველ შიშითაო:
რძლები სცემენ ციცხვითაო.

—

ზეიდამ ქორი მოფრინავდა,
ქვეშ მიმინო ხომლიანი:
გოგოვ, წელსა ნუ მოისხნი,
აგრე მოდი ქმრიანი.

—

ამოდი, ამოიტანე
ნიავი ქერობისაო;
ამავე ჩამოიტანე
ქართლელი ქალებისაო.

—

ერთხელ მეც ვიყავ მეცხვარე,
ცხვარი ვაძვე ილოსა.
ახალნი გათათრებულნი
თავზედ იხვევდნენ ტილოსა.

—

ამოვიდა ნიავი,
ჩამოჰყარა ქლიავი.
თითომ თითო დავირიგეთ;
მოლას შეხვდა ჭიანი.

—

— ჰო თვე, კამბეჩო, ნაიბო,
რა დაგემართა, რა იყო?
— სიცხემან გული ჩამთუქა,
სიგრილე ჩემი ძმა იყო.

—

ამომავალი მზე ხარო,
მაღლა ჩარდახში წევხარო,
შინ შეხვალ, პირს რო დაიბან,
გარეთ გამოხვალ, მზე ხარო.

—

— გოგოვ, წითელ კაბიანო,
შენთან მოსვლა მწადიანო.
ჩიქილა ყურთ აიწე,
ლოყას კოცნა მწადიაო.

—

— მაღლა ზიხარ, ბუსა ჰგავხარ,
ძირ ჩამოხვალ-გვალიანსო;
შენ ჩემსა თავსა ,ვინ მოგცემს
ლამაზსა და გვარიანსო.

—

ლამაზო, შენსა ხვევნასა,
ღილი შემამწყდა პერანგსსა.
მიპოვნე, გამამიგზავნე,
შენი ძმიების ლხენასა.

—

დაგლოცოს პირმა ღვთისამან,
ნაწილმა ბარძიმისაო,
ზედ შეხვეულმა ჯვარ-ხატმა,
სიონმა ქალაქისაო.

გოგია და ქანა

I

სოფელს თაბორში სცხოვრობდა შეძლებული გლეხ-კაცი გოგია მართალიშვილი. შეძლების გარდა, გოგია განთქმული იყო კიდევ იმითი, რომ მეტად ლამაზი ცოლი ჰყავდა. ყველას უკვირდა, როგორ შეირთო გოგიამ მოხუცებულობის დროს იმისთანა მშვენიერი ქალი, როგორიც ახალგაზდა ქანა�ა. მართლაც, გასაკვირველი იყო, როგორ შეხვდნენ ერთმანეთს გოგია და ქანა: გოგია თითქმის სულ გაეალაავებულიყო და დღითი დღე ბერდებოდა, ქანა-კი ეხლა ჰყვაოდა, თანდათან მატულობდა მისი მომხიბლავი სილამაზე. გოგია ტკვინი იყო, მართალი, გულ-ღია, მშრომელი მუშაკი, ქანა-კი ცქრიალა, მაცდური, ეშმაკი, უზრუნველი გოგო; გოგიას ხელს გაჩერებულს ვერა ჰნახავდით, სულ მუშაობდა, ოდვილობდა ხან შინ, ხან ყანაში, ქანა-კი ჩიტივით დფრინავდა თაბორის გოგო-ბიჭებში და სიმღერა - ცეკვის მეტს არაფერს აკეთებდა.

ამასთან გოგია საშინელი გულ-კეთილი იყო და არაფერს არ უშლიდა თავისს ცოლს. „ის ყმაწვილია, მე მოხუცებული ვარ, ის მოდის მე მივდივარ და დე, დასტკბეს ცხოვრებით, მოკითმენ, რა გაეწყობაო“, ჰფიქრობდა ხოლმე გოგია.

სამწუხაროდ, ქანა მეტად სარგებლობდა გოგიას გულ-კეთილობით: იმ თავითვე ისე დაიჭირა საქმე, რომ გოგიას აღარაფერი აღარ შეეძლო. თუ ისე არ მოხდა, როგორც მე მსურს, ეხლავე წავალ შენს სახლიდგანაო, ეტყოდა ქანა გოგიას, რადგან იცოდა მისის სისუსტის ამბავი, და გოგიაც ხმას ჩაიკმენდდა, თავს მიანებებდა ხოლმე ქანას. ასე რომ არ ექნა და მართლა გაქცეულიყო ქანა იმის სახლიდგან, მაშინ გოგიას ამდენი ხნის პატიოსნად დაცული ოჯახი ხომ საუკუნოდ უნდა გაბახებულიყო და მთელის სოფლის ყბად ასაღები გამხდარიყო? არა, გოგიას უყვარდა თავისი თავი და ისეთს არას იზამდა, რომ იმისს სახელს ამისთანა ჩირქი მისცხებოდა.

სასოფლო სკოლეგის შესახებ.

ამ ათისა და თორმეტის წლის წინად სასოფლო სკოლები სულ ცოტა იყო საქართველოში. რაც იყო, იმათშიაც ყმაწვილები ძალიან ნაკლებად მოიპოვებოდნენ. იშვიათს სკოლაში ჰნახავდით ოცსა და ოც-დაათს მეტზე შეგირდს. სოფლის ხალხი უნდოდ და უხალისოდ ეკიდებოდა სწავლას, მასწავლებელს, მღვდელს და სწავლა-განათლების გულ-შემატკივარს ბევრი უნდა ეჩიჩინა, ელაპარაკნა გლეხებისათვის და ისე დაჯერებინა, სკოლაში მიაბარეთ თქვენი ყმაწვილები წიგნის სასწავლებლადაო. შეგირდებიც ხალისით არ დადიოდნენ სკოლაში: ერთს დღეს რომ მოვიდოდა ერთი, მერე სამგიეროდ ერთს კვირას აღარ გაიკლდა. ეხლა სულ სხვასა ვხედავთ. სკოლის საქმე უფრო წინ მიდის. სწავლის სურვილმა ხალხში უფრო იმატა. გლეხ-კაცობის გარდა, შვილებს სამბარებენ სკოლაში ეხლა თავად-აზნაურნიცა და სამღვდელონიცა. დღემდე ამათს ყმაწვილებს მასწავლებელი პირდაპირ იღებდა და წელიწადში სწავლის გადაკვეთილს მცირე ფასს ანდევნებდა. ამ გვარად შემოსული ფული იწერებოდა სკოლის დავთარში და მერე იხარჯებოდა სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის. ანგარიში დახარჯულის ფულისა სკოლების დირექციას ეგზავნებოდა დასამტკიცებლად. თავად-აზნაურობასა, სამღვდელოებას და საზოგადოდ ყველას, ვინც ხარჯის მძღეველი არ იყო და არც სკოლის შენახვაში მონაწილეობას იღებდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ესიამოვნებოდათ ის გარემოება, რომ მასწავლებელი იმათის შვილების სწავლებაში ფასს ითხოვდა. ამის გამო, მასწავლებელი მუდამ საყვედურში იყო: ამდენ-ამდენს გვართმევს, თავად იღებს ჯიბეში, გამდიდრდა, აშენდა ჩვენის ფულითაო. ამ მითქმა-მოთქმამ და უსიამოვნებამ გამოიწვია ახალი განკარგულება, რომლის ძალითაც ცალკე დანიშნული კაცები უნდა იყვნენ სოფელში და იმათ უნდა ეკითხებოდეთ, როგორაც ყმაწვილის სკოლაში მიღების საქმე, ისე იმ ფულის რაოდენობისაც, რომელიც უნდა გადახდეს არა-გლეხის ყმაწვილს სწავლის ფასად. ეს გარემოება-კი დიდად აბრკოლებს საქმეს. ვიდრე ჯერ მამასახლისი, მერე ამორჩეული კაცები გადასწყვეტენ რასმე, სკოლა გლეხთა ყმაწვილებით ივსება და ალაგი აღარა რჩება არა-გლეხთა შვილებისათვის. თვით სწავლის ფასის რაოდენობის გადაწყვეტის გამო დიდი ლაპარაკი და აყალ-მაყალია ხოლმე ატეხილი: არა, ამდენი გადავახდევინოთ, არა ამდენიო.

ჩვენის აზრით, სასურველია, რომ ამ მხრით ისეც ძველებური წესი იქმნებოდეს შემოღებული: სწავლის ფასის რაოდენობა გადასწყდებოდეს ხოლმე მასწავლებლისა და მზრუნველთა თანხმობით და მათისავე თანხმობითვე მიიღებდნენ არა-გლეხთა ყმაწვილებსაც სკოლაში.

ექ. მ—ძე

დაბა ᲓᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ

(მოწერილი ამბავი)

ᲔᲠᲙᲔᲗᲘ (ოზურგეთის მაზრა). ჩვენი საზოგადოება არაფერით არ ჩამოურჩება სხვა საზოგადოებას და სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ ამ საზოგადოებაში არის არა ნაკლებ 645 კომლისა, სახელდობრ 540 კომლი გლეხი იქნება, 85 თავად-აზნაური და 20 სასულიერო წოდებისა, მაგრამ ამათ ერთი სასწავლებელიც არა აქვთ. რა ურიგობა იქნება, ამოდენს ხალხს ორ-კლასიანი სასწავლებელი ან ერთ-კლასიანი მაინც ჰქონდეს. როდესაც დამტკიცდა პირველად უმაღლეს მთავრობისაგან, რომ სოფელს უნდა ამოერჩია ერთი თავი კაცი, რომელსაც ეწოდებოდა მოსამართლე ან და მამასახლისი, იმ დროს ამოირჩიეს გარედ ნავალი კაცი, რომელსაც ძველი დროების კვალობაზე გვარიანად ესმოდა სიტყვა-პასუხი და სამსახური თავისის თანამდებობისა. იმ კაცმა საჭიროდ დაინახა განათლება სოფლისთვის და სოფლისავე შემწეობით, ძალით იყო თუ ნებით, დაარასა ერთ-კლასიანი სასწავლებელი, შეაგროვა დღეს-ხვალობით რამოდენიმე ბავშვი, ასე რომ 80 ყმაწვილი შეჰყარა, მასწავლებლად მოიწვია ოზურგეთის სასწავლებელში სწავლა დამთავრებული ყმაწვილი კაცი, რომლის მეცადინეობით ყმაწვილები ერთგულად და ერთსულად სწავლობდნენ. მინამ მასწავლებელი მოვიდოდა, მამასახლისი ხალხს სწავლა-განათლების საჭიროებას უქადაგებდა. კარგად მოგეხსენებათ, რომ ამისთანა კაცი თუ ვინმე აღმოჩნდა საზოგადოებაში, ბევრი იმასა ცდილობს, რომ ჩქარა აუდგან ფეხი და თავიდგან დროზედ მოიშორონ. ესე მოხდა იმ დროსაც. ავადმყოფობამაც ხელი შეუშალა და იმ კაცმა სამსახურს თავი დაანება. რა-კი ეს კაცი წავიდა, სასწავლებელმა უკან დაიწია: ერთს დღეს თუ ათი აკლდებოდა, მეორეს ოცი მიჰყვა და ნელ-ნელა სულ დაცალიერდა სასწავლებელი. მასწავლებელიც, რასაკვირველია, თავისს გზას გაუდგა. მას აქეთ ვუყურებთ, მაგრამ არავინ აღარ იბერტყავს ყურებსა. წინანი უკანანო, რომ იტყვიან ხოლმე, სწორედ ისე დაემართა ჩვენს საზოგადოებას. რა საჭირო იყო ძველის დროების მოგონება, მაგრამ აი რაშია საქმე. თუ იმისთანა ყრუ დროებაში სკოლა ჰქონდა ჩვენს საზოგადოებას და სხვა საზოგადოებას არ ჩამორჩენია, დღეს რაღა მეხი დაეცა? ეხლა უფრო განათლების მიმდევარი არ უნდა იყოს: თუ-კი სურებსა, ბასილეთსა, ფარცმასა და სხვა საზოგადოებაში გაიმართეს სასწავლებელი და მუდამ გაზეთები მისდით ორი და სამი, ამ საზოგადოებას-კი რატომ არა სჭირს ამ გვარი რამ კეთილი. ეხლა დიდი იმედი გვაქვს, ამ საზოგადოების მამასახლისიცა და სოფლის მწერალიც ჩაგონებენ ხალხს და ნებას გამოითხოვენ უმაღლესს მთავრობისაგან სასწავლებელის დაარსებისას. თუ ორ-კლასიანი არ იქნება, ერთი მაინც უნდა იყოს. სადა აქვთ იმდენი შემძლეა საწყალს სოფლის გლეხებს, რომ ქალაქებში გაზარდონ შვილები სოფელშივე უნდა იყოს სასწავლებელი, რომ ყმაწვილებმა წერა-კითხვა და დედა-ენა მაინც შეისწავლონ ცოტაოდენად.

ა. პაიკაძე

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ძლიერნი ამა ქვეყნისანი ამ ჟამად ერთმანეთთან მიდიან, ერთმანეთს დარბაზობას უწევენ ევროპაში მშვიდობიანობის დასაცველად და ამასთან გახშირებულს აღდგომებსა ჰბარობავენ; უკვამლო თოფის-წყალსა, მაგაზინის თოფსა, მსწრაფელ-მსროლელს ზარბაზნებსა, მაქსიმის საყუმბარო მანქანასა და მრავალს სხვა ადამიანის მომაკვდინებელს იარაღსა სცლიან, ალბად ამასაც მშვიდობიანობის დაცვისათვის. ჯერეს ტაბ „Нодѣля“-ც წერილს უძღვნის ამ ახირებულს საშუალებას მშვიდობიანობის დაცვისასა ჯერ ახლად გამოგონილს სასიკვდილო იარაღებს და ამბობს, რომ იქნება მშვიდობიანობის დაცვასაც უწყობდეს ხელსაო.

რამდენადაც კუშეთი, ჩვენს წარჩინებულმა მეცნიერმა და მოაზრემ მენდელეევმა ჯერ კიდევ თავისს საჯარო

საბრალო გოგია! რა ნაირად-ღა გაება მერე გოგია მახეში და ცოლად შეირთო ქანა, თუ მაგეთი ქკვიანი და თავ-მოყვარე იყოვო, მკითხავთ. თითონაც იცოდა გოგიამ, რომ სიკეთე არ დაეყრებოდა ქანას შერთვით, მაგრამ შესცდა და შესცდა სწორედ თავისის მართალისა და კეთილის გულის წყალობით.

ქანა ობოლი იყო, არაფერი გაჩნდა და ნათლია ზრდიდა სამადლოდ. ქანას ნათლია იცნობდა გოგიას; იცოდა, რომ შეძლებული იყო, ქალის რჩენა შეეძლო, და რომ მზითევის გამოუმეტებლად მოეშორებინა ქანა თავიდგან, შეუჩნდა გოგიას და სხვებიც შეუჩინა, ქანა შეირთეო.

გოგიას პირველი ცოლი აღრე მოუკვდა და აღარა ჭფიქრობდა ცოლის შერთვას, რომ ქანას ნათლიას და მის მიერ შეჩენილს კაცებს არ გაებრიყვებინათ.

— რად გინდა სიმდიდრე, შვილები არა გყავს და ვიღაცეებს რომ დარჩეს შენი საცხოვრებელი, უკეთესი არ იქნება, ცოლი შეირთო, იქნება ღმერთმა შენი საკუთარი შვილი მოგცესო? ეუბნებოდნენ გოგიას. გოგიაც ამდენის ჩიჩინის შემდეგ დასთანხმდა და ქალი არც-კი უნახავს, ისე პირდაპირ ეკლესიაში წავიდა ჯვარის დასაწერად. იმისთვის სულ ერთი იყო, ვინც უნდა შეეთრთო, ოღონდაც-კი შვილი მისცემოდა.

არც ქანას უნახავს ეკლესიაში შესვლამდის გოგია და მაშინაც აბა რას დაინახავდა ორის ღერის თაფლის სანთლით განათებულს საყდარში, როგორი იყო იმისი საქრმო? ამ ნაირად გაჩალხა ქანას ნათლიამ საქმე: ნათული თავიდგან მოიშორა, გაათხოვა, შეძლებულს კაცს მისცა, მზა-მზარეული ოჯახში შეიყვანა. მერე-კი, რაც უნდა მომხდარიყო, რას დაეძებდა? ქვეყნის თვალში ხომ პირნათლად გამოვედი და აწი-კი ქანას და გოგიას კისერიმც მოუტეხნიათო...

II

სოფელ თაბორის სასოფლო კანცელარიის მწერალი რევაზ შავგულიძე ერთი იმ გარყვნილ-გაფუჭებულ კაცთაგანი იყო, რომლებისთვისაც სინიდისი და პატიოსნება აღარ არსებობს. ფული, ღვინო და ქალები—ამ სამის სიტყვის მეტი არაფერი ეწერა რევაზის ლექსიკონში. სადაც უნდა გენახათ რევაზი, როდესაც უნდა გენახათ, ვისთანაც უნდა გენახათ, მუდამ ამის შესახებ ჰქონდა ლაპარაკი. მაგალითად, ვინმე რომ შეეხვეწოდა რისმე საქმის გაკეთებას, ჯერ ფულის შესახებ ჩამოუგდებდა ლაპარაკს და გააგებინებდა, რამდენი იყო საჭირო „გასამრჯელო“, მერე ღვინოზე გადავიდოდა და კაი ღვინის შოვნას შეუკვეთდა; ღვინიდგან ქალებამდის შორს აღარ იყო და ახლა რომლისამე ლამაზ მეზობლის შესახებ გადაუბამდა მუსაიფს: როგორის ყოფა-ქცევისაა, ხომ არ შეიძლება კაცმა... და სხ.

არ ვიცი, რა ნაირად მოახერხა რევაზმა, რომ ქანას შეაყვარა თავი. ეს-კი ვიცი, რომ ქანასთანა ბედის უკმაყოფილო ქალები ხშირად უვარდებიან რევაზისთანა კაცებს ხელში. მიკვირს-კი, რა იზიდავს იმისთანა კაცისკენ იმათს გულს? უხასიათობა და ზნე-დაცემულობა? შეიძლება ესეც იყოს. ისე იყო, თუ ისე, ქანა გათხოვებისათანავე რევაზის მსხვერპლი შეიქმნა და იმდენად მოიხიბლა, რომ იმისი ყურმოჭრილი მონა გახდა.

საკვირველია, ქანა, ის ქანა, რომელიც ტოლ-ამხანაგებში ყოველთვის პირველი იყო, რომელიც გოგიას ბატონურად ეპყრობოდა, რომელმაც ყველგან და ყველასთან იცოდა თავისი ფასი, რევაზთან სრულიად იცვლებოდა. აქ სადღაც ჰქრებოდა ამპარტავანი, თავმომწონე, ძლიერი ქმნილება და რაღაც ლანდი რჩებოდა. ეს კარგად იცოდა რევაზმა და სარგებლობდა თავისის მსხვერპლის დუქნიაში, რომელიც განსაკუთრებით სამსჯდო წოდების საღლისათვის იყო წაკითხული, ის ჭირი გაეტარა, რომ სამსჯდო სჯქმე თანდათან დადგ განეთარდებ და თავისს თავსაკე ამოჭამს, რადგან ბოლოს ისეთი დროც დადგება, როცა სამსჯდო სჯქმე ისე განეთარდება, რომ ეოველი მებრძოლი თავს ზედ შეაკლავსო. ამ ჭირის ეკრანაში ბეერა, მაგალითებრ, არჩიბალდ ფორბესმა, განთქმულმა სამსჯდო კორესპონდენტმა გაზ. „Daily News“-ისამ და დიდად მტოდნემ სამსჯდო სჯქმისამ, ამის წინად განსაკუთრებული წერილი დაბეჭდა, რომ სამსჯდო იარაღების გაუკეთესებამ და განვარგებამ თუ ასე ცარა, ომისა და ბრძოლის დროს ჯარი მიეცემის თითეოთით დაუწყებს ერთმანეთს თავდ-ეურის გდებას და ბოლოს შაშით თავზედ დაცემას ხომ ერეკ ერთი ეერ გაბეზდავს, მოსწყვიტდება ცდა და უკანეკ გამობრუნდება. ამ ჭირს უფრო საბეთი ეძლევა, თუ გაეიანსენებთ, რომ წარსულს სამს დიდს ომს, რომელშიაც ორეკე მოწინააღმდეგეესა თითქმის თანბარი ჯარი იყო, ასარებული შედეგი მოჰყვა. ეს ომები საფრანგეთსა და გერმანიას შეა იყო, ავსტრიასა და გერმანიას შეა და რუსეთსა და ოსმალეთს შეა. ავსტრიის და გერმანიის ომში 45,000 კაცი იმსეკვნდა, საფრანგეთისა და გერმანიასა—215000 კაცი და რუსეთისა და ოსმალეთისა—300,000-ზე მეტი კაცი. ამისობაში ბარეკედ ომის შეიარაღებასა და შემდეგ ომის შეიარაღებაში განსხვავება ჯერ ეოფილა-რა. ამიტომ მსმენელს ომი ისეთი საზარელი შედეგი მოჰყვება, რომ ამისთან შედარებით თემერეფნეგისა და ჭტენდეს თავ-დასხმაც ჯაფეური ბედენა იქნება.

მართლაც და სამხედრო შეიარაღების რომელი ნაწილიც უნდა აიღოთ, ყველგან ჭნახავთ, რომ საშინლად განვითარებულა საქმე. მაგალითებრ, მხოლოდ მცირეოდენმა საზოგადოებამ მიაქცია ყურადღება იმ სამხედრო უწყებაში სისუსტეთ. რევაზი ისე ეპყრობოდა ქანას, თითქოს არაფრად არ აგდებს იმისთან სილამაზესო, თითქოს, როცა იმასთან არის, ძალას ატანს თავისთავს, თორემ ბევრად არაფრად მოსწონსო.

გოგიამ მალე შეიტყო რევაზისა და ქანას დამოკიდებულება, მაგრამ რაღა უნდა ექნა? იმისთვის სულ ერთი იყო, რაც უნდა მომხდარიყო, ოღონდ სოფელში არ დაეწყოთ ლაპარაკი, საქმე საქვეყნოდ არ გამოაშკარავებულიყო.

როგორ მოგწონთ, რევაზი, ქანა და გოგია ერთად ერთის ჯაკეთი გადაბმულნი! რევაზისა ქანას ეშინოდა, ქანასი—გოგიას. ყოველი რევაზის სურვილი ქანას უნდა შეესრულებინა სისუსტის გამო, ქანასი—გოგიას გულ-კეთილობის გამო. ერთის მხრით რევაზი თავისს გაეინღალებულისა და მხეცურის სახით, მეორე მხრით ფერმიხდილი, მორჩილი გოგია, შეაში ქანა, ერთის მონა, მეორესი ბატონი, არა სასიამოვნო სურათს წარმოადგენდნენ. რევაზი სატანა იყო. გოგია ანგელოსი, ქანა ხან ეს და ხან ის; რევაზი ძლიერი იყო, გოგია სუსტი, ქანა ესეც და ისეც. რევაზი და გოგია თანამედროვე კაცები იყვნენ. ქანა თანამედროვე ქალი!..

გამოსულს ბრძანებას, რომ რუსეთის ჯარში ახალი თოფი უნდა შემოიღონ, 1891 წლის აკადემიასა. სპეციალისტებს გარდა, თითოოროლამ თუ იცის განტი-კუნტად, რომ ეს სახელი ჭქვიან საშინელს მომაკვდინებელს იარაღს, რომელიც ჯარის ძლიერებას ერთი სამად ჭხდის.

გარეკანის შესადეგობით ახალი თოფი უფრო სათამაშო ტიკანისა ჭგავს, ვიდრე საშინელს იარაღს; წინით სულ ათი გირვანქა, მაგრამ ამ თოფის ტუკა-კი 400 ნაბიჯზედ ერთის ადგილს სისრულეს ფიცარსა ჭსეთქვის და გაჯაქს. ამის გარდა, ეს თოფი მაგზაინის სისტემისაა და ამის გარდა ტუკის ტუკაზედ ისერის შუაწეკეტელად იმ დროსდე, ვიდრე ჯარისკაცს ტუკის სამზადისი არ გამოეჭვა.

ეს კიდევ არაფერია, რადგან ამაზედ საუკეთესო თოფები კიდევ სხვა სახელმწიფოებსა აქვთ თავისს ჯარში შემოდებული. ეხლა თანდათან ისეთი თოფები შემოიდეს ხმარებაში, რომ

იმათს ტუკის ტიხის კედლეიც ბნელად გაუდგებს. დანარჩენი წარიდმანი სიფარი-კი, რომელსაც დიდი ადგილი ეჭარა ჭამდე ომისა და ბრძოლის სჯქმეში, ესეც ალარაფერი გამოსეკენებელი ეჭნება. სიფარხეკეთის თოფი, როგორც დეკემბერსა 1886 წლისა, ავრეთეკ ეოფჯარისა გერმანიის თოფსა სეჯობა, მაგრამ, მეორე, ამასაც-კი ჯობებს „ელექტრონის“ თოფი, რომელიც ამის წინად იტალიაში გაკუსანჯეთ და გამოუცდათ. ეს ესეთი თოფი, როგორც ამბობენ, 4½ ეარესის მანძილზედ ჭკლავს კაცს. ამაზე მეტად თოფის განეთარება და გაუკეთესება, ეგონებ, ეოველდ შეუძლებელი იეოს. მართლაც, თუ ხელ-ჩარეულის ომისა და ბრძოლის სესენებაც ალარ არის, ესეთ თანდათან მეორნი ისეთის ბრძოლის სესენებაც ალარ იეოს, რომლის დროსაც თოფს ერთმანეთს უმიზნებენ და ისე ესეკრდნენ. ესლა ბრძოლა ისეთს მანძილზედ მოხვედ-

III

ერთს საღამოს რევაზი ღრმად ჩაფიქრებული მიდიოდა გოგიას სახლისკენ. ეტყობოდა, რომ მთელი მისი არსება ერთს აზრს გაეტაცნა და რაღაცაზედ ოცნებობდა. გოგია ჯერ კიდევ არ მოსულიყო სამუშაოდგან. ქანა მარტოკა იჯდა დერეფანში და ჭიშკარისკენ იხედებოდა. ეტყობოდა, რომ მოუთმენლად ელოდებოდა... რასაკვირველია, რევაზს და არა გოგიას.

აგერ კარის ჭრიალი მოისმა და ეზოში რევაზი შემოვიდა. ქანა შველივით წამოტება ზეზე და გაექანა მისაგებებლად. აგერ შეხედნენ კიდეც ერთმანერთს. ქანამ ტკბილად შეხედა თვალებში თავის გულის მფლობელს და უნდოდა ყელზე მოხვეოდა, მაგრამ რევაზმა მხოლოდ ხელი ჩამოართვა ცივად და წამოვიდნენ. რევაზი დერეფანში დაჯდა სამირკელზე, ქანა-კი ფეხზე გაჩერდა და მისჩერებოდა რევაზს, თითქოს იმისს სახეზედ უნდა წაიკითხოს ყველაფერია. სიჩუმემ რამდენსამე ხანს გასტანა, ბოლოს ქანამ ვეღარ მოითმინა და დიდის ხნის ფიქრის შემდეგ გულის ფანცქალით ჰკითხა:

— მეტად დაიგვიანე, რევაზ, რამდენი ხანია გელი.

— სულ რომ არ მოვსულიყავი,

ბა, რომ მტერი შორიდგან მხოლოდ ჭიანჭველის ოდენად დასანახი ეჩქარება და დამიზნება თოფისა ეოფლად შეუძლებელი გახდება. ეინც გაჭებედეს და მტერს უფრო დაუახლოვდება, ის უეჭველად უნდა დაიღუპოს, რადგან მაგაზინის თოფებიდგან სეტეკასეული დაუერიან ტეკეას.

თითქმის ასევე საშინლად მოამაკვდინელია აწინდელი არტილერია. ერთი მაგალითიცა კმარა ამის დასასაბუთებლად.

ბერძნეთის ჯარში ამ ეამად შემოიღეს ჯაეშნიანის ბანით დაფარული ზარბაზნები. ამ ზარბაზნებს ეტლეებით ატარებენ აქეთ-იქით და ისეთს ადგილასა ჭსდგამენ, რომ მტერი თოფით ზარბაზანს ვერას აკეთებს, თუ ერჩის რასმე, ჯაეშნიანს ბანს ერჩის. ამასობაში ბანს ბეკენ თაკ-შეფარებული ზარბაზანი, ტეკეიასა და ეუმბარაისაკენ უზრუნველ-ეოფილი, ერთს წუთს 30-ჯერ გაისროს, ასე რომ ეს ინარადი თავად კარგად არის თაკ-შეფარებული და მტერს-კი სწორედ მოსკენებას არ აძლეკს თავიანთ მომაკვდინებელს ეუმბარებით.

რა-კი ასეთი მომაკვდინებელი ინარადები შემოეღია, გაცაბრიობა ჭაერის წინაშე ქედს ვერ მოიხრიდა და ეკადებოდა, რასაკვირველია, ისიც გამოეეენებინა რაშიმე.

მართლაც-და სიფრანგეთ-გერმანიის ომს შემდეგ თითქმის კერძოს ეკეკლ ჯარში შემოიღეს ჭაერში-მსრბოლი ნაკეები. მეტადრე სიფრანკეთში ამ მხრივ სიკმე კარგს ნიადაგზედ დაეენებული. აქ ჭაერში-მსრბოლთა რაზმი დაარსეს ჯერ კიდეკ ნაპოლეონ პირველის დროს, 1791 წელს. შემდეგ გაეუქმეს და 1878 წ. ისეკ დაარსეს. ამ ჯერმა ისე განაკარგა ჭაერში სრბოლის სიკმე, რომ უეკე შესაძლებელად არის გამხდარი ქარის წინააღმდეგ ფრენა, იმ მხრისაკენ, სიათანენც თითონ უნდთ. ინგლისშიაც შეადგინეს ჭაერში მსრბოლთა რაზმი 1879 წ., რომელსაც 14 ჭაერსლსტატი აქვს. გერმანიაში ასეთი რაზმი შესდგა 1882 წ., იტალიაში—1885 წ., ბელგიაში—1886 წ. და სხ. როგორც ვიცით, რუსეთშიაც არსებობს ჭაერში მსრბოლი დასი. სამხედრო ჭაერსლსტატს ორ-გკარი დანიშნულება აქვს: ჯერ ერთი, იმის შემეწეობით მტერს თვალეურს ადევნებენ, ჭსინკეკენ, თოკადაერებენ სამალდადგან და, მეორე, ზემოდგან ეუმბარებს ესეროან ჯარს, ისეთს ძალიერს ეუმბარებს, რომ ჯარს თითქმის ს
 ერთანანდ სწეკეტკენ და ტანის კეკდენს ანგრეკს.

მხედველობაში რომ ვიქონიოთ ეოველივე ამ ბოლოს დროს გამოგონილი და შემოდებული ადამიანის მომაკვდინებელი იარადი, გაცაბრიობას სწორედ დიდი საფრთხე და განსაცდელი მოელის, თუ ევროპაში მართლა ბრძოლა და ომი ასტეედა რამ. ეს განსაცდელი ერთი-ორად ჭმატეულობს, როცა წარმოიდგენს ადამიანი, რომ ევროპას ამ ეამად 12.830,000 შეიარადებული კაცი ჭყავს, 1.320,000 ცხენი და 20,430 ზარბაზანი. რა მოხდება მაშინ, როდესაც ეს ამოდენა აუარებელი ხალხი ერთმანეთის გაწყვეტას მიჭყოფს ხელს? საშინელებაა ჯერ მარტო ამის სურათის წარმოდგენა და ამიტომაც ადამიანი თავის და უნებურად ჭნატრობს, ღმერთმა ჭქნას, მართალი გამოდგეს ის წინასწარმეტყველება, რომ ომი და ბრძოლა თითონვე ამოიწყამს თავისს თავსაო.

უცხოეთი

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. იმპერატორ ვილჰელმის მიერ ეხლახან ერფურტში ნათქვამი სიტყვა ათასნაირად გადაკეთ-გადმოაკეთეს გაზეთებმა და ტელეგრაფის სააგენტოებმა. ზოგი გაზეთი ამბობს: იმპერატორმა ნაპოლეონ I „კორსიკანელის მეტიჩარის“ სახელით მოიხსენიაო და ზოგი უარჰყოფს: არა, — რა, იქნება, რომ შემირთო? ჩემზე მეტად ვის ეყვარებიო, ტირილით ეუბნებოდა ქანა.

— დასწყეელოს ღმერთმა სიყვარული! სიყვარული რად მინდა?

— მაშ რა გინდა?

— ფული მინდა, ფული. თუ ფული მოვიპოვე, ყველაფერს ვიშოვნი. ჩემთვის მზითევია საკირო. თუ ჭფერმა მართალა ჩემს ცოლობას, ჯერ მზითევი მოამზადე კარგა ბლომად და მერე ვნახოთ!

— მზითევი საიდგან მოვიტანო, რომ არაფერი გამაჩნია? ტირილით ამბობდა და ქანა.

— მაშ, მე რა ვქნა? აგერ ხუთასს მანეთს მაძლევენ და სისულელე იქნება, დავკარგო. ქანა გაშტერებული იყო და არ იცოდა, რა ეთქვა.

— მაგრამ რაო, განაგრძო რევაზმა: შენც კარგად შეგიძლიან, ხუთასის მანეთისა-კი არა, ათასის მანეთის შოვნაც. იშოვე და მე შენ მოლოდინში ვიქნები. მგონი მიხვდი, რასაც გეუბნები.

— ვერაფერს ვერ მივხვდი. საიდგან უნდა ვიშოვნო ათასი მანეთი, როდესაც ათასი კაპეიკიც არ მომეძევებაო.

— ვეცდები, მიგახვედრო: გოგიას საცხოვრებელი ათასს მანეთზედ მეტი ეღირება. ყველაფერი შენ გადმოგცეს და როცა მოკვდება, მზითვიანი ქალი იქნები. ქანა სმენად იყო გადაქცეული.

ეს ძალიან ადვილია, განაგრძო რევაზმა: თამასუქს მოგცემს ერთის ასის თუმნისას და გათავდება საქმე. შენ ოღონდ დაითანხმე გოგია და მერე მე ვიცი: მოდით კანცელარიაში და ყველაფერს ერთს წუთას გავაკეთებ.

ამ დროს მოისმა კარის ჭრიალი. ორიავემ იქითკენ გაიხედეს. ეზოში შემოვიდა თოხით ხელში გოგია და იმათკენ არც-კი უხედნია, სასიმოდსკენ წავიდა.

IV

გავიდა რამდენიმე დღე ამ ლაპარაკის შემდეგ და თამბორში ერთმა ამბავმა აალაპარაკა მთელი ხალხი. ერთმანეთს რომ შეხვედებოდნენ თამბორლები, ყველაფერზედ უწინ შემდეგის სიტყვით მიმართავდნენ ხოლმე: გაიგე ქანას და გოგიას საქმე? ვიცით, მიუგებდა მეორე, და შეიქნებოდა მერე საბრალო გოგიას ყბად აღება.

— ყოჩაღ, ყოჩაღ, ქანა! ცეცხლია, ქალი-კი არა, ამბობდნენ ახალგაზდა ბიჭები: რაც გოგიას სიცოცხლისას ჯოჯოხეთშია, სამაგიერო იმის სიკვდილის შემდეგ მაინც არ ჰღირსებოდა? ეხლა გოგიას ჩაძაღლება უკლია და იმისთანა ქმარს იშოვის ქანა, რომ უკეთესი მთელს დუნიაზედ არ მოიძებნება.

— ქანა, ქანა... ა. უყურეთ ერთი რა ჰქნა? ამბობდნენ გასათხოვარი ქალები და პირს-ნერწყვი მოსდიოდათ.

ყველაფერი რევაზის საქმეკ, ამა ქანას მაგდენი ჭკუა სადა ჰქონდა, რომ ეს მოეხერხებინაო? ამბობდნენ გათხოვილები.

— სჩანს სულაც თავს დანებებს ქანა გოგიას და იქნება სიცოცხლეშივე წაართვას საცხოვრებელიო, ამბობდნენ ხნიერი ქალები.

— უბედური გოგია! იბრალებდნენ გოგიას მხოლოდ მისი ამხანაგი, ხანში შესული კაცები: საბრალო ჩაადგო, ჩაადგო ჯოჯოხეთში ამ გლახა გომბიომ! ოჰ, ვინც ღამაზი ქალი შეირთოს, იმას-კი რა უთხრას კაცმა!

— ახია იმაზედ, რაღა დროს იმ ხელა კაცის ამჩატება იყო და გუშინდელის გოგოს შერთვა. შეაცდინეს. ისე როგორ შეეცდები, რომ რაც არ მინდა, ის მაქნევინონო?... ამბობდნენ სხვები.

ნეტავი რას ამბობდა ამ დროს თითონ გოგია? არაფერს. ის ისევ ისე სცხოვრობდა, როგორც წინად, თითქოს არაფერი მომხდარიყოსო, გოგიას წინააღმდეგობა არც-კი გაუწევია ქანასთვის, როცა ამან თამასუქი სთხოვა. მართალს ამბობსო, იფიქრა

ისიც შემეძლო, სთქვა და თავ-მომწონედ შეხედა ქანას რევაზმა.

— კი შეგეძლო, მაგრამ მე რას მიპირობდი? დაღონებით წარმოსთქვა ქანამ და თავი დაღუნა.

— როგორ თუ რას გიპირობდი? განა შენს მეტი საქმე არა მაქვს? წყარომით უთხრა რევაზმა.

— საქმე ბევრი გაქვს, მაგრამ მე სხვა საქმეში გასარევი არა ვარ.

— არა, აბა ყველაფერს მივატოვებ და მარტო შენ მოგიჯდები. ის-კი არა, აწი იქნება, სულაც აღარ მოვიდე...

— როგორ თუ აღარ მოხვიდე? გააწყვეტინა ქანამ.

— როგორ და კარგად. აბა სულ შენ ხომ ვერ მოგაჩერდები? ცოლს ვირთავ...

— რას ამბობ, რევაზ? შეჰკივლა ქანამ და იმის წინ დაეცა. რად გინდა ცოლი?

რევაზმა მხოლოდ ეშმაკურად გაიღიმა.

— არა, არა, შენ ცოლს არ შეირთავ, მე არ მიმატოვებ, ჰღრიალებდა ქანა და ეხვეოდა მუხლებზე რევაზს: აგერ მოკვდება გოგია...

— ხა, ხა, ხა... გადიხარხარა რევაზმა, ზეზე წამოდგა და სიარული დაიწყო. იქნება გგონია, რომ გოგიას სიკვდილს შემდეგ შენ შეგირთავ?

— ანგელოზო! ეს ეს ამბავ, ეს ეს ამბავ, ეს ეს ამბავ,

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

19 სექტემბერი

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲝᲞᲝᲚᲘ. დღეს დაასაფლავეს გონჩაროვი. უბრალო მუხის კუბოს, რომელიც დაფნის გვირგვინებით იყო დაფარული, ათასობით ხალხი მისდევდა; ამ ხალხში მწერლობის წარმომადგენელნიც ერიენენ და მოსწავლე ყმაწვილ-კაცობაც; ეკლესიაში იყენენ დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე, სამეცნიერო აკადემიის დეპუტაცია და ადმინისტრაციის წარმომადგენელნი. სამარეზედ ლექსი წაიკითხა კოზლოვსკიმ.

დღეს სამეცნიერო აკადემიამ მიტროპოლიტის მაკარის პრემია მიუსაჯა: 1,500 მან. გენერალ-მაიორს მასლოვსკის თხზულებისათვის: „რუსეთის ჯარი შვიდს-წლოვანს ომის დროს“; 1,500 მან. პროფესორს ტვალდაროვს თხზულებისათვის: „საქონიო ტეხნოლოგია სამეურნეო ნაწარმოებისა“; 1,000 სენტორს სემიონოვს თხზულებისათვის: „გლეხთა განთავისუფლება“ და ათას-ათასი მანეთი პროფესორს დიუვერნუას ბოლგარიის ენის ლექსიკონის შედგენისათვის და პროფესორს ლიუბოვინს თხზულებისათვის: „კათოლიკეთა რეაქციის დასაწყისი“.

ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ. ბულანჟეს თავის მოკვლის შესახებ კიდევ შემდეგს ცნობებს იუწყებიან: ოთხმა მუშა-კაცმა სასაფლაოზედ მომუშავებმა, შეჰნიშნეს თურმე $11^1/_2$ საათზე ბულონჟე, რომელიც ქ-ნ ბონნემენის საფლავსაკენ მიდიოდა, იმავე მუშა-კაცებს $12^1/_4$ საათზედ რევოლვერის ხმა მოესმათ. მოირბინეს სამარესთან და დარწმუნდნენ, რომ ბულანჟეს რევოლვერი დაეკრა, ტყვია საფეთქელში მოხვედროდა და თავის ქალა გაეხეთქა. დაუყოვნებლივ აცნობეს ეს ამბავი სასაფლაოს მმართველს. იმან გამოაცალა ბულანჟეს ხელიდგან მაგრად დაბღუჟული რევოლვერი და განკარგულება მოახდინა, რომ გარდაცვალებულის გვამი მიასვენეთ სასაფლაოს აკლდამაშიო, საიდგანაც შემდეგ მონტრეიეს ოტელში გადიტანეს. ბულანჟეს გვამი სარეცელზეა დასვენებული; საფეთქელის ქრილობაზედ თეთრი ხელსახოცი აფარია; სახე არა აქვს შეცვლილი. ოტელის კარებთან დიდძალი ხალხი სდგას და ამ ამბის შესახებ მითქმა-მოთქმა აქვს გაბმული. როგორც ეტყობა, ბულანჟეს კარგი ხანია ჰქონია თავის მოკვლის აზრი, ამ გარემოებას ის ამბავი ამტკიცებს, რომ ქ-ნის ბონნემენის სამარეზედ დაუდვია დაფნის გვირგვინი, რომელსაც შემდეგი წარწერა აქვს: „ნახვამდის, მარგარიტავ, ჩქარა ვნახავო“.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. პარლამენტის წევრი ჯემს-ულიამ ლოროზერი გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგის თანამდებობაზედ იქმნა დანიშნული, სერ ჯემს ფერგიუსსონის მაგიერ.

ᲕᲔᲜᲐ. რეიჰენბერგიდგან (ჩეხიაშია) დეპეშით იუწყებიან, რომ შუალამისას რეიჰენბერგს ახლო დინამიტით უნდოდათ აეფეთქებინათ რკინის გზის ხიდი, რომელზედაც უნდა გაეცლო ავსტრიის საიმპერატორო მატარებელსაო. ხიდი და ლიანდაგი მცირეოდნად დაზიანებულია; უბედურება არა მომხდარა-რა. საიმპერატორო მატარებელმა მშვიდობიანად გაიარა ეს აფეთქებისაგან დაზიანებული ადგილი. ეს ბოროტ-მოქმედება ალბად ანარხისტების მიერ არის ჩადენილი.

20 სექტემბერი

ᲕᲔᲜᲐ. წუხელ ღამეს რეიხენბერგის მახლობლად დინამიტის ყუმბრებით აეფეთქეს რკინის გზის მოზვინული, ბოგირთან, რომელზედაც მატარებლით უნდა გაეცლო იმპერატორს ფრანციორეს როზენტალისკენ, სადაც რკინის გზის სადგურია. სადგურის მთავრობამ გაიგონა თუ არა აფეთქების ხმა, მაშინვე დაათვალიერა მოზვინული ბოგირთან, რომელიც დაზიანებული იყო. ქვის საძირკვლიდგან რამდენიმე ქვა ამოვარდნილიყო და იქვე ეყარა ყუმბარის ნატეხებიც, ორის საათის წინადაც დაათვალიერეს ეს ბოგირი, მაგრამ მაშინ წამხდარი არა იყორა. ამიტომ დაასკვნეს რომ ბოროტ-განმზრახველებს ორი პატარა ყუმბარა ჩაუდვიათ პატრუქიანი, რომელიც ზედი-ზედ აფეთქებულა. ყუმბარისაგან მცირედი დაზიანებული მაშინვე შეაკეთეს. როგორც ოფიციალურ გამოძიებიდგან სჩანს, მოფიქრებული ბოროტება არა ყოფილა-რა იქა, არამედ მხოლოდ უბრალო სისულელე, რომ დაერღვიათ სიდიადე იმპერატორისთვის დახვედრასა, რომელსაც რეიხენბერგში უმზადებდნენ. რეიხენბერგში მიბრძანებისათანავე ყველაფერი მოახსენეს იმპერატორს.

ᲨᲣᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 17 სექტემბერი

	მოდგენ ლისა.	გამოდ ვლილ.	მოდგენ ლისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ნუთ-მანთათანი ოქრო .	7, 58	7, 60	— ,,
ტამოფნის კუპონები .	151	152	— ,,
ანგეთიანი ვერცხლის ფული	1, 14	— ,,	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	237	— ,,	— ,,
—მეორისა	— ,,	— ,,	221¾
—მესამისა	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავდადაზღვარულის ბანკის ფურცელი, . , , , ,	— ,,	— ,,	211¾
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	— ,,	— ,,	— ,,
ეკატერინოსლავის ბანკისა . .	— ,,	— ,,	— ,,
ტფილისის საერთაშორო ნდობის საზოგადოებისა	— ,,	— ,,	— ,,

ᲛᲘᲓᲝᲛᲚᲔᲚᲐ ᲪᲔᲪᲚᲘᲡ ᲒᲔᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲨᲐᲡᲘ ᲖᲚᲔᲕᲐᲖᲔ

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღეკის 4 სსათზე მოკლე გზით და ნოეორროსიისკსა და კერჩში შეიდლის.

შაბათობით საღამოს 8 სსათზე შორის გზით (ეკლეს ნაკონ-სადგურში შეიდლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკევობით, დიდით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოეორროსიისკში შეიდლის).

შაბათობით, დიდით, სტამბოლდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დიდის 9 სსათზე დამთავსრდეს მოკლეს გზით მოსთარულე კავკასიასა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დიდის 9 სსათზე, და მთავსრდეს შორის გზით მოსთარულე კავკასია-ეგზარიმისა და რუმელია ანატოლიისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოკვ ფოთიდამ, ბათუმის სსაკენტო გადასწეკეტს სოდმე, როდის წკვ შეკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნაკონ-სადგურებიდან გადაწეკეტილს კვდზე გემები.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

„ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲘᲡ“ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, სამი ტომი, თითო ტომი ცალკე . . . . . 1 მ. 20 კ.

იგივე მშვენიერს ქაღალდზე და მშვენიერის ყდით თითო ტომი ცალკე . . . . . 2 მ. 50 კ.

სამი ტომი . . . . 7 მ.

სრული სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა 1 მ. 20 კ.

იგივე ყდით . . . 1 მ. 40 კ.

თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიითა ⁂ ვაქსიმიდეთი „ 80 კ.

იგივე მშვენიერის ყდით 1 მ. 25 კ.

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდ. პოემა ბაჩანსი . . . . . „ 15 კ.

ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ვლ. აღნიაშვილის-მიერ . . . „ 30 კ.

იგივე ყდით . . . „ 75 კ.

სურამის ციხე, მოთხრ. ჭონქაძისა . . . „ 25 კ.

„მარაბდა“ ან. ფურცელაძისა . . . „ 20 კ.

„წყალობა“—მისივე . „ 20 კ.

„თამარი“ სპარსული ლეგენდა . . . „ 10 კ.

„დემონი“ თარგ. ფაზელისა . . . „ 15 კ.

„ცვა“ III წ. . . . „ 50 კ.

საზოგადო მიწათ-მოქმედება თხუზ. მ. ზაალიშვილისა. „ 30 კ.

საზოგადო ზოოტეხნიკა ანუ საქონლის მოვლა-მოშენება მისივე. „ 80 კ.

ვეფხვის ტყაოსანი, ოზურგეთის გამოცემა . „ 30 კ.

იგივე მშვენიერის ყდით „ 80 კ.

უკანასკნელი დღე სიკვდილისა, ვ. ჰიუგოსი ფრანგულით თარგმ. თ. სახოგისა-მიერ . . . „ 30 კ.

მაჭმადიანთ ლექსები, დამატებით ზ. ჭიჭინაძისა . . . . . „ 10 კ.

დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . . . . „ 40 კ.

აქვე ისყიდება „სამი კოშედია, აქ. ცაგარელისა „ 60 კ.

„თორნიკე ერისთავი“ აკაკისა . . . . 1 მ. „

ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

12 თვითო. . .	10 მ.—კ.	6 თვითო . . .	6 მ.—კ.
11 ,, . . .	9 ,, 50,,	5 ,, . . .	5 ,, 50,,
10 ,, . . .	8 ,, 75,,	4 ,, . . .	4 ,, 75,,
9 ,, . . .	8 ,, —,,	3 ,, . . .	3 ,, 50,,
8 ,, . . .	7 ,, 25,,	2 ,, . . .	2 ,, 75,,
7 ,, . . .	6 ,, 50,,	1 ,, . . .	1 ,, 50,,

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლითა. სოფლის მასწავლებელთა ,,ივერია'' მთელის წლით დაეთმობათ 8 მან.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთა უნდა დაბაბრონ გაზეთი შემდეგის სადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვითს განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვიეს პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრაქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრულდ უკანასკნელი გვერდი 30 მანთა, ხოლო პირველი გვერდი—60 მანთა. რაცხეი სტრაქონებისა გამოანგარიშება ამის კვლდობაზე, რამდენს ადგილსაც დაიკერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნონ. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვიეს განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვაროს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჭკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თვისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ᲙᲣᲯᲐᲨᲘ, ნაოდოროზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲘᲡ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

	მ.	კ.
„თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძე) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი სამი ტომი, თითო ტომი ცალკე .	1	20
იგივე მშვენიერის ყდით და მშვენიერს ქაღალდზე თითო ტომი ცალკე	2	50
სამივე ტომი ერთად	7	„
სრული სამზარეულო ქართული და ევროპიული საჭმელებისა	1	20
იგივე ყდით	1	40
თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით და ბიოგრაფიით.	„	80
იგივე მშვენიერის ყდით	1	25
„დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანსა.	„	15
ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ვლ. აღნიაშვილის მიერ,	„	30
იგივე, მშვენიერის ყდით	„	75
სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა	„	25
„მარაბდა“ პოემა ან. ფურცელაძისა	„	20
„წყალობა“, პოემა მისივე	„	20
„უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“ ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით ნათარგმნი თ. სახოკის-მიერ . . .	„	30
ვეფხვის ტყაოსანი, ოზურგეთში გამოცემული. . .	„	30
იგივე მშვენიერის ყდით	„	80
მეფე დავით აღმაშენებელი. ისტორ. დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურიან-ორბელიანისა	„	40
გიორგი ვაშინგტონი, თარგ. ნ. ბარნაბიშვილის-მიერ. .	„	30
მაჭმადიანთ ლექსები, გამოც. ზ. ჭიჭინაძისა . . .	„	10
ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა	„	30
ნ. ნიკოლაძის ნაწერები წიგნი I	„	30
სამის თავს გადასავალი, მოთხრ. ან. ფურცელაძისა. .	„	25
ქიტესა—მისივე	„	15
სამი სხვერპლი, დ. კარიჭაშვილისა	„	30
ლენტის მსგავსნი ჰიები ი. თ.	„	5
ჰაეროსანი ადამიანი.	„	5
ჟანნა-დარკ	„	5
ბერლინის გარემოცვა.	„	5
„ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე“ ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა.	„	50
„Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა.	„	50
„შვილის აღზრდა“, თ. ხუსკივაძისა.	„	20
ფიზიკური აღზრდა, გ. იოსელიანისა	„	20

Дозв. ценз. Тифлисъ, 20-го Сентября 1891 г. სტამბა ᲨᲐᲠᲐᲫᲘᲡᲐ. დროებითი რედაქტორი ᲑᲠ. ᲥᲘᲨᲨᲘᲫᲔ გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ.